

1. დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ

სტრასბურგი, 26 აგვისტო, 1997 წელი

1997 წლის 26 აგვისტოს, სტრასბურგში დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ექვსი ხმით სამის წინააღმდეგ განაცხადა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი იმის გამო, რომ მომჩივნის საქმე არ განუხილავს „მიუკერძოებელ სასამართლოს“.

საქმის გარემოებები

ნიდერლანდების მოქალაქე, ქ-ნი დე ჰაანი მუშაობდა ქიმწმენდაში. 1989-იდან 1990 წლამდე, იგი ვერ აკმაყოფილებდა სამუშაოსთვის ვარგისიანობის მოთხოვნებს. ამ პერიოდში იგი იღებდა ავადმყოფის დახმარებას. 1990 წლის 14 მაისს, ქიმიური მრეწველობის პროფესიულმა ასოციაციამ დაადგინა, რომ ქ-ნი დე ჰაანს შეეძლო მუშაობის განახლება. შესაბამისად, მან დაკარგა ავადმყოფის დახმარების მიღების უფლება.

ქ-ნმა დე ჰაანმა ეს დადგენილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. იგი შეამოწმა მუდმივმოქმედმა სამედიცინო ექსპერტმა, რომელმაც დაადგინა მისი სამუშაოსათვის ვარგისიანობა. ამ დასკვნის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს მოქმედმა თავმჯდომარემ, მოსამართლე შ-მა, არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი ზეპირი განხილვის გარეშე საქმის წარმოების გამარტივებული წესით წარმართვაზე.

ქ-ნმა დე ჰაანმა მოქმედი თავმჯდომარის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. ამავე დროს, მან მოითხოვა, რომ მოსამართლე შ-ს აღარ მიეღო მონაწილეობა საქმის შემდგომ წარმოებაში. მაგრამ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქმის შემდგომი წარმოების შედეგად, რომელშიც მომჩივანი წარმოდგენილი იყო ადვოკატის მიერ, საჯარო სხდომის ჩათვლით, სააპელაციო სასამართლომ, მოსამართლე შ-ის თავმჯდომარეობითა და ორი არაპროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, ასევე არ დააკმაყოფილა ქ-ნი დე ჰაანის საჩივარი.

შემდეგ, მან იჩივლა ცენტრალურ სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ვინაიდან მოსამართლე შ-მა ჯერ გადაწყვეტილება მიიღო მისი საჩივრის თაობაზე, ხოლო შემდეგ მონაწილეობა მიიღო ამ საჩივრის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანაში. 1993 წლის 26 აპრილს მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

დასკვნა

მიუთითა რა ფელდბრუგი ნიდერლანდების წინააღმდეგ საქმეზე 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომელიც შეეხებოდა არსებითად იმავე კანონმდებლობასა და საქმის წარმოებას, სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების დასაშვებად მიჩნევა.

სასამართლომ გამოარკვია ამ საქმესთან დაკავშირებით გამართული გამარტივებული წარმოების შემდეგი მახასიათებლები:

პირველი - გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სააპელაციო კოლეგიის თავმჯდომარეს (ანუ მოქმედ თავმჯდომარეს), მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეში მას რაიმე სხვა სახით მონაწილეობა არ მიუღია, გარდა სამედიცინო ექსპერტის დასკვნის კანონიერი ძალის დადასტურებისა.

მეორე - სასამართლომ მიუთითა, რომ განსხვავება არსებობდა ამ საქმის წარმოებასა და დაუსწრებელ სისხლის სამართლის წარმოებას შორის, სადაც ბრალდებული არც ესწრებოდა და არც წარმოდგენილი იყო, რის თაობაზეც სასამართლოს, თავისი წინა გადაწყვეტილებით (1996 წლის 10 ივნისს გამოტანილი გადაწყვეტილება, საქმეზე: თომანი შვეიცარიის წინააღმდეგ ლეპორტს 1996-III), არ დაუდგენია მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევა. აღნიშნულ საქმეზე ჩატარებული პროცედურა მოიცავდა მომჩივნის სამედიცინო შემოწმებას. მას ჰქონდა ისეთი შენიშვნების გამოთქმის შესაძლებლობა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა, მაგრამ ექსპერტის და არა მოსამართლის მიმართ. ამდენად, იგი აქტიურად მონაწილეობდა ექსპერტის დასკვნის გამოტანაში, რაც მოქმედი თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი უნდა ყოფილიყო.

მიუთითა რა თავისი სასამართლო პრაქტიკაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის სასამართლოს მიუკერძოებლობის

დადგენისას, მხედველობაში უნდა მიეღოს არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება - სუბიექტური მხარე, არამედ ისიც, ეს მოსამართლე უზრუნველყოფდა თუ არა საკმარის გარანტიებს ამ საკითხში კანონიერი ეჭვის გასაბათილებლად.

წარმოდგენილი არ ყოფილა რაიმე ვარაუდი მოსამართლე შ-ის მხრიდან წინასწარ უარყოფითი მოსაზრების ან მიკერძოების შესახებ. ამიტომ საჭირო იყო მხოლოდ ობიექტური ტესტის გამოყენება.

სასამართლოს აზრით, საქმისათვის გადაწყვეტი გარემოება იყო ის, რომ მოსამართლე შ-ი თავმჯდომარეობდა იმ სასამართლოს, რომელსაც გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა იმ საჩივრის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იყო მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლო შედგებოდა ერთი პროფესიონალი მოსამართლისაგან, რომელსაც დახმარებას უწევდა ორი მოსამართლე. უფრო მაღალ ორგანოს რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დაირღვეოდა იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იქნებოდა ისეთი სასამართლო ორგანოს შემდგომი კონტროლის ქვეშეობა, რომელსაც სრული იურისდიქცია ექნებოდა და უზრუნველყოფდა მე-6 მუხლით დაწესებულ გარანტიებს.

ცენტრალური სააპელაციო სასამართლოს გადასინჯვის მოცულობა საკმარისი არ იყო სააპელაციო სასამართლოში გამართული პროცესის დანაკლისების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, ცენტრალურმა სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო სამედიცინო მტკიცებულების ხელახალი შეფასება და სადავო საკითხის საკუთრივ თვითონ გადაწყვეტა.

მეორე მხრივ, ცენტრალური სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობა არ იყო იმგვარი, რომ უზრუნველყო საკუთარი მიუკერძოებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, უკან დაებრუნებინა საქმე სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის. მაგრამ იგი ასე არ მოიქცა და შედეგად, ვერ გამოასწორა აღნიშნული ნაკლი.

აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

2. ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ

(№1) 1991 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, A სერიის №204

საქმის გარემოებები

განმცხადებელმა და სხვებმა შეიტანეს სარჩელი პოლიტიკოსის წინააღმდეგ, რომელიც დავობდა, რომ ავსტრიელი ქალებისთვის საოჯახო დახმარება 50%25-ით უნდა გაიზარდოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური მიზეზით განპირობებული აბორტები; რაც შეეხება ემიგრანტ დედებს, მათი დახმარება 50%25-ით უნდა შემცირდეს. განმცხადებელმა სარჩელი გამოაქვეყნა გაზეთში, რომლის რედაქტორიც თავად იყო. მან პოლიტიკოსის წინააღმდეგ ნაცისტების გამოცდილებას შეადარა. პოლიტიკოსმა სარჩელი შეიტანა ჟურნალისტის წინააღმდეგ - კერძო დევნის საფუძველზე. რეგიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ ვერ დაადგინა გამოაქვეყნებული განცხადების სიმართლე; ამის გამო, მას 5000 შილინგის გადახდა დააკისრა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ობერშლიკმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დავობდა, რომ მისთვის თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმის დაკისრებით დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება.

საქმე განსახილველად გადაეცა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ („კომისია“) 1990 წლის 16 თებერვალს, წარდგენიდან სამი თვის განმავლობაში, როგორც დადგენილია 32-ე მუხლის მიხედვით. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 1-ლი და 47-ე მუხლები (მუხ. 32-1, მუხ. 47).

კომისიის მოთხოვნა შეეხებოდა 44-ე და 48-ე მუხლებს, ასევე დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც ავსტრია აღიარებდა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციას (მუხლი 46).

კომისიის მოთხოვნის ობიექტი იყო გადაწყვეტილების მიღება, იმის თაობაზე არღვევდა თუ არა სახელმწიფო თავის ვალდებულებებს კონვენციის მე-6.1 (სამართლიანი მოსმენის უფლება მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ) და მე-10 მუხლებს.

მთავრობამ აღნიშნა, რომ განაცხადს კომისიამდე 1985 წლის 25 ივნისამდე არ მიუღწევია, მაშინ როდესაც ვენის სააპელაციო სასამართლომ საბოლოო

გადაწყვეტილება ზეპირად გამოაცხადა ექვი თვეზე მეტი ხნით ადრე, 1984 წლის 17 დეკემბერს. მათი აზრით, წერილობითი გადაწყვეტილების წარდგენის თარიღი (1985 წლის 7 იანვარი) იყო მიზნის შეუსაბამო.

ბატონი ობერშლიკი პასუხად ამტკიცებდა, რომ მისი განცხადების წარდგენის თარიღად უნდა ჩაითვალოს 1985 წლის 16 ივნისი. ნებისმიერ შემთხვევაში, ექვს თვიანი პერიოდი უნდა აითვალოს წერილობითი გადაწყვეტილების შესრულებიდან, რადგან კომისიის წინაშე ვერცერთი არსებული განცხადება შევიდოდა კომისიის წინაშე, გადაწყვეტილების გამოცხადებისას სასამართლო დასაბუთების საფუძველზე.

საკუთარი პრაქტიკის საფუძველზე, სასამართლომ აღიარა, რომ განცხადება წარდგენილი იყო 1985 წლის 16 ივნისს, რომელიც ექვს თვიანი პერიოდის ბოლო დღეს წარმოადგენს, თუ ათვლა ზეპირი გადაწყვეტილების გამოტანიდან დაიწყება.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ადასტურებს, რომ ბატონი ობერშლიკის განცხადება 1985 წლის 16 ივნისს გამოქვეყნებული და წარდგენილი იქნა სამი თვის ვადაში, როგორც ითვალისწინებს 26-ე მუხლი.

დასკვნა

სასამართლოს წინაშე, ბატონი ობერშლიკი ამტკიცებდა, რომ მისი საქმის მოსმენის მეორე ეტაპზე ვენის სააპელაციო სასამართლო არ იყო „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო“ და არ იყო „კანონით დადგენილი“, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 489.3-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, მისი თავმჯდომარე მოსამართლე იყო იმავე მოსამართლე ვინც პირველი ეტაპისას.

სასამართლოს წინაშე ბატონმა ობერშლიკმა ამ საჩივარს დაურთო რომ ამ დროის განმავლობაში, მას უკვე სჯეროდა რომ არა მხოლოდ თავმჯდომარე მოსამართლე, არამედ დანარჩენი ორი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს მონაწილეობდა ორივე შემთხვევაში. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მთავრობის მიმართ დასმული კითხვიდან დადგინდა, რომ ეს სიმართლე იყო.

კომისიამ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 489.3-ე მუხლის თანახმად, სახეზე იყო საქმეში იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომლის მიმართაც აცილება უნდა მომხდარიყო.

სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის ორი ბრალდება ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. სისხლის სამართლის პროცესის 489.3- ე მუხლი, რომლის მიხედვითაც,

ასეთ საქმეში, სააპელაციო სასამართლო არ უნდა მოიცავდეს არც ერთ მოსამართლეს, რომელიც მანამდე მონაწილეობდა ამავე საქმეში პირველი ეტაპის დროს, ცხადს ხდის ეროვნული კანონმდებლის ინტერესს ამოშალონ სასამართლოს მიუკერძოებლობის ყველა გონივრული ეჭვი. შესაბამისად, ამ წესის დაუცველობა ნიშნავს, რომ აპლიკანტის საჩივარი განიხილა ტრიბუნალმა, რომლის მიუკერძოებლობაც ეჭვის ქვეშ იდგა, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.

მთავრობა ამტკიცებდა, რომ 1984 წლის 17 დეკემბრის მოსმენაზე, იმ ხარვეზის გამო, რომ ვერ იქნა გამოწვეული ან წამოჭრილი რაიმე პროტესტი თავმჯდომარე მოსამართლის მონაწილეობის მიმართ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლები: 73, 281 პარ.1 ქვე.1 და 345 პარ.2), აპლიკანტს მოეხსნა მისი შეცვლის მოთხოვნის უფლება.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, კონვენციით გარანტირებულ უფლებაზე უარის თქმა - იმდენად რამდენადაც ეს დასაშვებია - უნდა დაფუძნდეს ცალსახა წესით.

ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ თავმჯდომარის, არამედ დანარჩენი ორი სააპელაციო სასამართლოს წევრის აცილებაც უნდა მოხდეს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 489.3 მუხლის მიხედვით. 1984 წლის 17 დეკემბრის მოსმენამდე, არც განმცხადებელმა და არც მისმა ადვოკატმა არ იცოდნენ, რომ დანარჩენი ორი მოსამართლეც მონაწილეობდა 1983 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების მიღებაში.

ამგვარად, არ დადგინდა, რომ განმცხადებელს მოხსნილი ჰქონდა უფლება, მისი საქმე განეხილა „მიუკერძოებელ“ ტრიბუნალს.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფი.

3. Delcourt v. Belgium

სტრასბურგი, 17 იანვარი, 1970 წ.

საქმის გარემოებები

1963 წლის 23 ნოემბერს, ბატონი დელკური, ერთ-ერთი კომპანიის დირექტორი, დააკავეს თაღლითობის, ნდობის ბოროტად გამოყენების, დოკუმენტების გაყალბების და გაყალბებული დოკუმენტების გამოყენების, ჩეკების - უზრუნველყოფის გარეშე და თამასუქების არარსებულ გადამხდელზე გამოწერის ბრალდებით, ასევე იმ მომსახურების გამოყენების ბრალდებით, რომელთა გადახდის შესაძლებლობა მას არ ჰქონდა. 1964 წლის 21 სექტემბერს, ქ. ბრუგეს სასამართლომ იგი გამოაცხადა დამნაშავედ, მიუსაჯა რა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და დააკისრა ჯარიმა 2.000 ბელგიური ფრანკის ოდენობით. ბატონმა დელკურმა და პროკურატურამ გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება. 1965 წლის 17 მარტს ქ. გენტის სააპელაციო სასამართლომ ყველა ბრალდება დააკმაყოფილა, მათ შორის ის ბრალდებები, რომლებიც პირველი ინსტანციის მიერ იქნა გამართლებული. პატიმრობის ვადად შეეფარდა ხუთი წელი, რომლის მოხდის შემდეგაც ბატონ დელკური უნდა „მოქცეოდა მთავრობის განკარგულებაში“ ათი წლის ვადით.

ბატონმა დელკურმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. კერძოდ, მან შეიტანა განცხადება თავისი პოზიციის დეტალური აღწერით; გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის განყოფილებამ არ გამოიყენა უფლება პასუხი გაეცა მის განცხადებაზე. 1965 წლის 21 ივნისს, საკასაციო სასამართლოს მეორე პალატაში, ამ საქმეზე გაიმართა ღია სასამართლო სხდომა, რომელსაც განმცხადებელი ესწრებოდა ადვოკატის გარეშე. საკასაციო სასამართლომ მოუსმინა მომხსენებელ მოსამართლეს და სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში მთავარი პროკურორის მოადგილის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, რომელიც ითხოვდა ორივე გასაჩივრებულ საკითხზე უარს. 1965 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბატონი დელკურის საჩივარი. გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელი, გადაწყვეტილების გამოტანისას, იმყოფებოდა საკასაციო სასამართლოს სათათბირო ოთახში.

1965 წლის 20 დეკემბერს, ბატონმა დელკურმა კომისიას მიმართა განცხადებით, ამტკიცებდა რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5, მე-6, მე-7 და მე-14 მუხლები. კომისიამ მისი ბრალდებები არ სცნო, გარდა იმ ფაქტისა, რომ გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელი საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას იმყოფებოდა სათათბირო ოთახში. კომისიის მიერ განხილვის მსვლელობისას განმცხადებელი, სხვა საკითხებთან ერთად, ჩიოდა იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო სხდომის დაწყებამდე მისთვის არ იყო ცნობილი საკასაციო სასამართლოს წინაშე პროკურატურის დასკვნის შესახებ და იმის თაობაზე, რომ მისთვის არ იყო განკუთვნილი საბოლოო სიტყვა. სასამართლომ გაითვალისწინა ახალი ბრალდებები იმ საფუძველით, რომ ისინი ეხებოდნენ გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის დეპარტამენტის როლს საკასაციო სასამართლოში.

გადაწყვეტილება

პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს სამართალწარმოება არ სცდება კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო ინსტანცია მხოლოდ ადასტურებს ან უარყოფს სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად განიხილავს საქმეს, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება ბრალდებულისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი გადაწყვეტილების გამოტანისას იმყოფებოდა საკასაციო სასამართლოს სათათბირო ოთახში, სასამართლომ აღნიშნა მისი შესაბამისობა 1815 წლის 15 მარტის სამეფო უდიდებულესობის დადგენილების 39-ე მუხლთან. ბელგიის საკასაციო სასამართლოს და მასთან ერთად გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის დეპარტამენტის ამოცანების შესწავლის შემდეგ, სასამართლო მივიდა დასკვნამდე ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6.1 მუხლის მიხედვით მოთხოვნათა შესაბამისობის თაობაზე, 1815 წლის 15 მარტის დადგენილების 39-ე მუხლთან. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელმა ვერ დაიცვა თავისი მოვალეობა ყოფილიყო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდებულის „ახალი ბრალდებები“, როგორც საფუძველს მოკლებული. რადგან, საკასაციო სასამართლოში გენერალური პროკურატურის ზედამხედველობის სამსახურის ამოცანაში შედიოდა სასამართლოს

კონსულტაცია და მისთვის დახმარების გაწევა სადავო გადაწყვეტილებების კანონიერების თაობაზე, ბუნებრივია, რომ თანამშრომელმა გამოთქვა საკუთარი აზრი სასამართლო სხდომის ბოლოს. ბელგიის საკასაციო სასამართლოს სამართალწარმოების ბუნების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბატონმა დელკურმა ისარგებლა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი.

4. ARTICO v. ITALY

(განაცხადი no. 6694/74)

სტრასბურგი, 13 მაისი, 1980 წელი

საქმის გარემოებები

1965 და 1970 წლებში ვერონის სასამართლომ, 1917 წელს დაბადებულ იტალიის მოქალაქეს მიუსაჯა პატიმრობა თაღლითობის მუხლით. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დააკმაყოფილა, ხოლო ბატონი არტიკოს საკასაციო საჩივარი -1973 წელს არ დაკმაყოფილდა.

1972 წლის აგვისტოს, ბატონ არტიკოს საკასაციო საჩივარზე გაუწიეს უფასო იურიდიული დახმარება. თუმცა, სექტემბერში ოფიციალურად დანიშნულმა ადვოკატმა აცნობა მას, რომ მას არ შეეძლო მის საქმეს გაძღოლოდა სხვა ვალდებულებათა გამო. ამის შემდეგ, ბატონმა არტიკომ მრავალჯერ მიმართა საკასაციო სასამართლოს და პროკურორს სხვა ადვოკატის დანიშვნის თხოვნით, ამტკიცებდა რა, რომ ირღვეოდა მისი უფლება დაცვის თაობაზე. თუმცა, სხვა ადვოკატი არ იქნა დანიშნული და არანაირი ნაბიჯი არ იქნა გადადგმული პირველად დანიშნული ადვოკატისთვის ეიძულებინათ საკუთარი მოვალეობის შესრულება.

1975 წელს განმცხადებლის ახალი ბრალდების განხილვისას, საკასაციო სასამართლომ ვერონის სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ უარყო, ხანდაზმულობის ვადის გაშვებასთან დაკავშირებით, რაზეც განმცხადებელი ეყრდნობოდა თავის წინა საჩივრებში.

1974 წლის 26 აპრილის კომისიის წინაშე განცხადებაში, ბატონი არტიკო ამტკიცებდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5.1 მუხლი, მისი არაკანონიერი დაკავების თაობაზე; მუხლი მე-6.3, რადგან მან ვერ მიიღო ადვოკატის დახმარება 1973 წლის 12 ნოემბრის საკასაციო სასამართლოში მისი საქმის განხილვის პერიოდში.

კომისიამ თავის 1979 წლის 8 მარტის მოხსენებაში ერთხმად გამოიტანა დასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი; კონვენციის მე-5.1 მუხლის დარღვევა მან მიუღებლად ცნო, რადგან განმცხადებელს არ ამოუწურავს დაცვის შიდა სამართლებრივი საშუალებები.

ევროპულმა კომისიამ საქმე სასამართლოს 1979 წლის 11 მაისს გადასცა.

5. CASE OF MICALLEF v. MALTA (განაცხადი no. 17056/06; 15/10/2009)

მალტის სახელმწიფომ და მესამე მხარე სახელმწიფომ მიუთითეს, რომ ბატონ მიკალეფს არ ჰქონდა მსხვერპლის სტატუსი, რაც მას უფლებას მისცემდა სარჩელი შეეტანა სასამართლოში. მხარემ მიუთითა, რომ ბატონ მიკალეფს შესაძლოა ჰქონოდა უფლება მონაწილეობა მიეღო მისი დის მიერ შეტანილი სარჩელის სამართალწარმოებაში, თუმცა არა საკუთარში, ვინაიდან მისი და გარდაიცვალა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სამართალწარმოება ადგილობრივ დონეზე მიმდინარეობდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა მსხვერპლის სტატუსი, პირველ რიგში იმიტომ, რომ სწორედ მას ეკისრებოდა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება და, შესაბამისად, შესაძლოა ჰქონოდა მემკვიდრეობითი ინტერესი საქმეში. გარდა ამისა, საქმე ეხებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას და კითხვის ნიშანს ბადებდა ზოგად ინტერესთან მიმართებითაც.

სახელმწიფომ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა ამოწურული ყველა სამართლებრივი საშუალება ეროვნულ დონეზე, როგორც ეს კონვენციის 35 §1 მუხლითაა განსაზღვრული. სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამართალწარმოების არსებითი მიმდინარეობისას, ეროვნულ დონეზე არ არსებობდა ნორმა, რომელიც მოსამართლის აცილებას სავალდებულოს გახდიდა იმის საფუძველზე, რომ სამართალწარმოებაში მოსამართლესა და ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელს ჰქონდათ ბიძა-ძმისშვილის ნათესაური ურთიერთობა. შესაბამისად, მოსარჩელისათვის არ არსებობდა მოსამართლის აცილების ეფექტური საშუალება და მისი გამოყენების ვალდებულება ევროსასამართლოსათვის მიმართვამდე. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელე მხარემ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევასთან დაკავშირებით სარჩელის შეტანით ეროვნულ საკონსტიტუციო სამართალში, რომელმაც უარყო სახელმწიფოს მიერ ჩვეულებრივი საშუალებების ამოუწურავობის პრობლემა და არსებითად განიხილა საქმე, ამოწურა ყველა ხელმისაწვდომი საშუალება, რომელიც არსებითად უკავშირდებოდა სარჩელს.

ბოლოს, მალტის სახელმწიფომ და მესამე მხარე სახელმწიფომ ასევე მიუთითეს, რომ მე-6 §1 მუხლით განსაზღვრული გარანტიები არ მოიცავს ისეთი სახის პროცესებს, რომლებიც ეხება

დროებით ღონისძიებებს და მათი აზრით, სარჩელი ამ საფუძველზე ვერ იქნებოდა დასაშვები.

სასამართლომ დასძინა, რომ წინასასამართლო პროცედურები, მათ შორის, ისეთი დროებითი ღონისძიების გატარება, როგორცაა სასამართლო აკრძალვა, როგორც წესი, არ ექცევა მე-6 მუხლით დაცულ სფეროში. სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში დღესდღეობით ფართოდაა მიღწეული კონსენსუსი მე-6 მუხლის დროებით ღონისძიებებზე, მათ შორის, სასამართლო აკრძალვების გავრცელებასთან დაკავშირებით და ამ პოზიციას იზიარებდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება აკრძალვასთან დაკავშირებით ხშირად არსებითი გადაწყვეტილების ტოლფასია, გარკვეული დროით ან, გამონაკლის შემთხვევებში, სამუდამოდაც კი. მე-6 მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, ხშირად, დროებითი და ძირითადი პროცედურები ეხებოდა ერთსა და იმავე სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს, და წარმოშობდა თანაბარ შედეგებს. მოცემულ გარემოებებში, სასამართლომ აკრძალვის პროცედურის ავტომატურად ისეთ პროცედურად მიჩნევა, რომელიც სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს არ უკავშირდებოდა, გაუმართლებლად მიიჩნია. ასევე, არ დაადგინა, რომ ასეთ პროცედურებში ხარვეზი შესაძლოა არსებითი განხილვის დროს ამოწურულიყო, ვინაიდან ზოგიერთი შედეგი შესაძლოა შეუქცევადი ყოფილიყო.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ცვლილება აუცილებელი იყო. მე-6 მუხლი იმ შემთხვევაში იქნებოდა რელევანტური, თუ ორივე - ძირითად და აკრძალვის პროცედურებში გამოკვეთილი უფლება ექცეოდა მე-6 მუხლის მიზნებისათვის „სამოქალაქოს“ განმარტებაში და დროებითი ღონისძიება ადგენდა „სამოქალაქო“ უფლების სადავოობას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლებელია მე-6 მუხლის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუმცა, სასამართლოსა თუ მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ამ მუხლის განუყოფელ ნაწილად რჩება.

მოცემულ საქმეში, ძირითად პროცესებში გამოკვეთილი უფლების არსი ეხება მეზობლების მიერ ქონების გამოყენების უფლებას, მალტის კანონმდებლობის მიხედვით და, შესაბამისად, სამოქალაქო შინაარსის უფლებას როგორც ეროვნულ, ისე ევროსასამართლო პრაქტიკაში. სასამართლო აკრძალვის მიზანი იყო განესაზღვრა ეს უფლება ისეთ უფლებად, რომელზეც დავა მიმდინარეობდა და იყო დაუყოვნებლივ აღსრულებადი. შესაბამისად, მე-6 მუხლი გამოყენებადია.

სასამართლომ დაადგინა, რომ მალტის სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, არ არსებობდა მიუკერძოებლობის საკითხის წამოჭრის შემთხვევაში მოსამართლის თვითაცილების ვალდებულება. გარდა ამისა, პროცესის მხარეს არ შეეძლო

მოსამართლის აცილება დედამიწვილური ურთიერთობების საფუძველზეც კი, არათუ - ბიძა-ძმისშვილის ნათესაური კავშირის არსებობისას. თუმცა, მას შემდეგ მალტის კანონმდებლობა შეიცვალა და ამჯერად დედამიწვილურ ურთიერთობებს განიხილავდა მოსამართლის აცილების საფუძველად. მოცემულ დავაში, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ახლო ოჯახური კავშირები და მიიჩნია, რომ ისინი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ობიექტური ეჭვი გაჩენილიყო მოსამართლეთა კოლეგიის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ, 11 ხმით 6-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 6 § 1 მუხლი.

6. United States v. Gibson

2007 წელი, 19 ივნისი

საქმის გარემოებები

გიბსონი იყო SBU-ს და რამდენიმე სხვა კომპანიის მფლობელი და დირექტორი. SBU ამზადებდა წარმატებულ საგადასახადო სტრუქტურას, პირადი ზარალის შემთხვევებში. გიბსონმა, თავის კლიენტებს უთხრა, რომ მათი სტრუქტურულად შემუშავებული გადაწყვეტილებები იქნებოდა შეერთებული შტატების სახაზინო ვალდებულებებზე დაფუძნებული, როგორცაა სახაზინო ობლიგაციები, რომლებიც გადაეცემოდა მესამე მხარეს ნდობით აღჭურვილ პირს და გამოყოფდა ფონდებს ყველა კლიენტისთვის ცალკე სარგებლით. კლიენტები პერიოდულად მიიღებდნენ ანაზღაურებას სახაზინო ვალდებულებების გამოსყიდვის წილიდან და შემოსავლებიდან. კლიენტების, პირადი ზარალის გადასაწყვეტად გამოყოფილი კაპიტალი პირდაპირ პირადად გიბსონს ეგზავნებოდა.

ლეგიტიმური ოპერაციის შემდეგ, გიბსონმა შეწყვიტა სახაზინო ვალდებულებების ყიდვა კლიენტების ფონდისგან. ამის მაგივრად, მან კლიენტების ფულიდან 16.856.000 \$ დახარჯა არასანქცირებულ ბიზნეს გარიგებებში, მაღალი რისკის შემცველ ინვესტიციებში და პირადი მოხმარებისთვის უძრავი ქონებისა და ფუფუნების საგნების შესყიდვაში. გიბსონმა, შემდეგ დაიწყო სახაზინო ვალდებულებების გამოსყიდვა კლიენტებისთვის და ასევე აგრძელებდა შემოსავლის

საკუთარ თავზე მოხმარებას. გიბსონის კლიენტების საერთო დანაკლისი შეადგენს 156.194.810.92 \$-ს, მათ შორის ბევრი იყო ისეთი, რომლებსაც ფული საკუთარი თავის სარჩენად და სამედიცინო მკურნალობისთვის სჭირდებოდათ.

გიბსონის ადვოკატმა შეატყობინა მას, რომ მიმდინარეობდა გამოძიება მისი კლიენტების თანხების მართვის საკითხთან დაკავშირებით. ის და მისი მეუღლე გაემგზავრნენ ბელიზში და ბელიზის ბანკის ანგარიშებზე განათავსეს კლიენტების თანხიდან 3,478,352 \$. ისინი მაშინვე დაბრუნდნენ შეერთებულ შტატებში, მაგრამ 1999 წლის ივლისში ისევ გაემგზავრნენ ბელიზში.

2001 წლის 18 იანვარს, გიბსონს ბრალი წაუყენეს: თაღლითური სქემის ბრალდებით, რაც გამოიხატებოდა ქონების ან კეთილსინდისიერი მომსახურების განზრახ წართმევაში ფოსტის ან საბანკო კომუნიკაციის მეშვეობით, ა.შ.შ-ის მე-18 საკანონმდებლო აქტის § 371-თან მიმართებით (18 U.S.C. § 371), საფოსტო თაღლითობის ბრალდებით ა.შ.შ-ის მე-18 საკანონმდებლო აქტის § 1343-თან მიმართებით (18 U.S.C. § 1341), საბანკო თაღლითობის ბრალდებით ა.შ.შ-ის მე-18 კანონის §1343-თან მიმართებით (18 U.S.C. § 1343), ფულის გათეთრების ბრალდებით ა.შ.შ-ის მე-18 კანონის § 1956(h)-თან მიმართებით (18 U.S.C. § 1956(h)) და კონფისკაციის შესახებ შემდგომი ბრალდებების განსაზღვრისათვის ა.შ.შ-ის მე-18 კანონის § 982-თან მიმართებით (18 U.S.C. § 982). 2001 წლის 10 მაისს, გიბსონი დააკავეს ბალიზში და დააბრუნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2001 წლის 18 ოქტომბერს, გიბსონის დაკავების შედეგად გაიხსნა საბრალდებო ოქმი. 2001 წლის 18 ოქტომბერს, საბრალდებო ოქმში შევიდა ცვლილებები, სადაც გიბსონის ცოლი მოხსენიებული იყო როგორც მოპასუხე.

2002 წლის 8 იანვარს, გიბსონი დამნაშავედ სცნეს თაღლითური სქემის ბრალდებით, რაც გამოიხატებოდა ქონების ან კეთილსინდისიერი მომსახურების განზრახ წართმევაში ფოსტის ან საბანკო კომუნიკაციის მეშვეობით, ა.შ.შ-ის მე-18 კანონის § 1371-თან მიმართებით (18 U.S.C. § 371). საპროცესო შეთანხმების შესაბამისად, მთავრობამ გააუქმა დანარჩენი ბრალდებები და გიბსონს მიესაჯა 262 თვიანი პატიმრობა. სამწუხაროდ, ეს შეთანხმება ეფუძნებოდა კანონის მოთხოვნათა შეუსაბამო აღქმას (ყველას ჩათვლით), რომ § 371-ის მიხედვით მაქსიმალური სასჯელი იყო 30 წლიანი პატიმრობა. სინამდვილეში, მაქსიმალური სასჯელი იყო 5 წლიანი პატიმრობა. გიბსონმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით, სასამართლომ გააუქმა გამოტანილი გადაწყვეტილება და დაუბრუნა საქალაქო სასამართლოს შემდგომი სამართალწარმოების განსახორციელებლად.

სასამართლოს წინაშე, გიბსონი ამტკიცებდა, რომ საბრალდებო დასკვნის მეორე, მესამე, და მეხუთე პუნქტებზე ხანდაზმულობის ვადა გავიდა. მე-5 პუნქტში წაყენებული ბრალი მოხდა 1996 წლის 6 ივნისს. საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ წესდების შეზღუდვები გავიდა გიბსონის ბელიზში დამალვის პერიოდში და ა.შ.შ.-ის მე-18 კანონის § 3296 მიღებულ იქნა ახლად გამოთვლილ შეზღუდვის ვადამდე, რომელიც საშუალებას იძლეოდა ბრალდების აღდგენასთან დაკავშირებით.

გიბსონი გასამართლებული იქნა ნაფიცი მსაჯულების მეშვეობით და დამნაშავედ იქნა ცნობილი მის ყველა ბრალდებაზე. მას მიესაჯა 480 თვიანი პატიმრობა, სამ წლიანი პირობითი მსჯავრით, სპეციალური გადასახადი 700\$-ის ოდენობით და \$83,282,767.42 თანხის დაბრუნება.

ანალიზი

გიბსონმა ორი საკითხი გაასაჩივრა:

1. ჰქონდა თუ არა ამ სასამართლოს უფლებამოსილება გაეუქმებინა მისი ბრალის აღიარება მის პირველ გასაჩივრებაზე; და
2. იყო თუ არა საბრალდებო დასკვნის მეორე, მესამე და მეხუთე პუნქტები სწორედ აღდგენილი.

ა) ბრალდების აღიარების გაუქმების უფლებამოსილება

გიბსონი ამტკიცებს, რომ მისი აღიარებითი ჩვენებით უნდა გაუქმებულიყო მისი სასჯელი, მაგრამ ძალაში დარჩელინიყო მისი აღიარება. ამით გიბსონის განაჩენი შემცირდებოდა მაქსიმუმ 5 წლიანი სასჯელით. გიბსონის მიერ პირველად წამოჭრილი არგუმენტი სასამართლომ განიხილა და უარყოფილი იქნა. გიბსონის აღიარება მიღებულ იქნა 2002 წლამდე, სანამ შევიდოდა ცვლილებები სისხლის სამართლის პროცესის ფედერალური წესების (Fed. R. Crim. P. 11) (e)(1)(C) ქვეპუნქტებში.

საპროცესო შეთანხმების და იმის გამო, რომ მთავრობა ასახავდა გამოკვეთილ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას, გიბსონს მხოლოდ მთელი საპროცესო მოქმედების გაპროტესტება შეუძლია (356 F.3d at 765)

ბ) ბრალდებების აღდგენა

გიბსონი ასევე ამტკიცებს, რომ 2005 წლის 14 ივლისს, საბრალდებო დასკვნის მეორე, მესამე და მეხუთე პუნქტები შეუსაბამოდ იქნა აღდგენილი, რადგან 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა უკვე გასულია.

დასკვნა

2004 წელს გიბსონის საპროცესო შეთანხმება სწორედ იქნა გაუქმებული.

18 U.S.C. §§ 3290 და 3296-ის მიხედვით, გიბსონის ბელიზში გადაფრენისა და გაუქმებული საპროცესო შეთანხმების გამო, 2005 წელს მის წინააღმდეგ აღდგენილი ბრალდებები, 1996 წელს ჩადენილი ქმედებებისთვის, დროული იყო, მიუხედავად 5 წლიანი ხანდაზმულობისა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

კომენტარები

გიბსონის საქმე თავდაპირველად დაეწერა რაიონულ სასამართლოში მთავარ მოსამართლე მერფის. მოსამართლე მერფი იძულებული გახდა გაეკეთებინა თვითაცილება საქმეზე, რადგან გიბსონი დაემუქრა მას მოკვლით, რისი რეალური საფრთხეც არსებობდა. გიბსონმა ასევე დაითხოვა რამდენიმე დანიშნული ადვოკატი. მოსამართლე მერფის თვითაცილებამ, გიბსონის დათხოვნებმა და სხვადასხვა წინასასამართლო ქმედებებმა დააყოვნა ბრალდებების აღდგენა.